V

პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

24 ივნისის 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №3 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№3 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 24 ივნისიდან.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო განყოფილების უფროსი

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 24 ივნისის
№ ..... დადგენილების დანართი № 3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური
თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის

შ ე ს ა ხ ე ბ

№ რიგზე	თანამდებობის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ლარში
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირი: 19 ერთეული. მათ შორის:			
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	7360
2.	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	5760
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	5120
4.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	4000
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	3520
6.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7	2880

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა საშტატო ერთეულის გაზრდას ორი ერთეულით, კერძოდ, საკრებულოს ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ ემატება ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ორი ერთეული.

2. პროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნული ცვლილებებით, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან. აღნიშნული პუნქტის მიხედვით საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ყოველ სამ წევრზე ჰყავს მოადგილე.

3. დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

წინამდებარე დადგენილების მიღებით გარკვეულად გაიზრდება წარმომადგენლობითი ორგანოს შრომის ანაზღაურების ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობა.

4. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ჭიღვარია.

5. დადგენილების პროექტის ავტორი:

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

6. დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

საკრებულოს აპარატის უფროსი, გიორგი სვანიძე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო
განყოფილების უფროსი